ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. ო.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის №037/18

საჩივარი შემოტანილია ადვოკატ ნ. ბ.-ის მიმართ, სიითი N....

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ბ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 10 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ო.-მ ადვოკატ ნ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატ ნ. ბ.-ს 2008 წელს მიმართა სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით. კლიენტს სურდა ბინის მესაკუთრისთვის (მ. ა.-სთვის) გადაეხადა ბინის ღირებულების 30% - 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით, ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ.

1.3 საჩივრის ავტორი უკმაყოფილოა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურებით, ვინაიდან როგორც განმარტავს, სასამართლო პროცესზე ადვოკატმა ნ. ბ.-მა კლიენტს მორიგების აქტზე ხელი შინაარსისა და შედეგის განმარტების გარეშე მოაწერინა. მორიგების პირობები საჩივრის ავტორის ინტერესების შესაბამისი არ აღმოჩნდა, ვინაიდან მორიგების აქტის საფუძველზე პირიქით მ. ა.-ს უნდა გადაეხადა 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარი ნ. ო.-სათვის უძრავი ქონების გამოთავისუფლების სანაცვლოდ. ნ. ო.-ის შეფასებით, მან ადვოკატის არაკეთილსინდიერი მომსახურების შედეგად დაკარგა უძრავი ქონება და ითხოვს ადვოკატ ნ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 17 აპრილს ეთიკის კომისიას, ნ. ო.-ის საჩივარზე, პასუხით მომართა ადვოკატმა ნ. ბ.-მა. ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორს და თვლის, რომ მას როგორც ადვოკატს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ არასწორია საჩივრის ავტორის მოსაზრება თითქოსდა მისთვის გაურკვეველი იყო მორიგების აქტის შინაარსი და მან სრულიად გაუაზრებლად და გაუცნობიერებლად მოაწერა ხელი მორიგების აქტს. მორიგების აქტის შედგენამდე ადვოკატმა კლიენტს განუმარტა კანონი და მორიგების აქტის შინაარსი, რის შემდგომაც, ნ. ო.-მ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოაწერა ხელი მორიგების აქტს.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ თუკი ნ. ო. თვლიდა, რომ მორიგების აქტზე მან ხელი გაუცნობიერებლად მოაწერა, შეეძლო სასამართლო განჩინება გაესაჩივრებინა. ამასთანავე, ადვოკატი აღნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნ. ო.-ის საჩივარი არის ხანდაზმული.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ნ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, სიითი N ....., სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, ის არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 ნ. ო.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 10 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება ჩადენილია 2008 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 N2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის მოქმედი რედაქციით (2008 წელი) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლით ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ბ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 N2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ,,ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი“, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის (2008 წ) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-3 მუხლის მიხედვით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

5.2 საჩივრის ავტორის პრეტენზია უკავშირდება მხოლოდ 2008 წლის 03 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში მორიგების აქტის გაფორმებას. თავად საჩივრის ავტორი აღნიშნავს საჩივარში, რომ ადვოკატთან ურთიერთობა დაასრულა სასამართლო პროცესის შემდეგ 2008 წლის ოქტომბერში დავის მორიგებით დასრულებით.

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ 2008 წელს მოქმედებდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქცია) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-3 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ,,**ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.“**

5.4 ადვოკატთა დისციპლინარული წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ,,დისციპლინური კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის შემოტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.“

5.5 ადვოკატ ნ. ბ.-ის მიერ სადაო მოქმედების ჩადენიდან გასულია 3 წელზე მეტი ვადა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო შეწყდება დისციპლინური წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ სააქართველოს კანონის (2002 წლის რედაქცია) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 22 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, 27-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ნ. ო.-ის 2018 წლის 10 აპრილი №037/18 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/